საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *არჩილ კოჭლამაზაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	88	100

სახელი, გვარი: **გოგა კიკილაშვილი** **ხელმოწერა:**

თარიღი: 22 / 07 / 2024წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო“) 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით დაწყებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

არჩილ კოჭლამაზაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. ,,საბჭოს“ 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. ,,საბჭოს“ 2024 წლის 02 ივლისის N1/53 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა **არჩილ კოჭლამაზაშვილი** (შემდგომში - ,,კანდიდატი“).

1.3. ,,საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი“) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია ,,კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 17 ივლისს, ჩემი მონაწილეობით, ,,საბჭომ“ ჩაატარა ,,კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,კანონის“ 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. ,,კანდიდატი“ 45 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 9 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 3 წელი და 7 თვე. კერძოდ:

- ✓ 2006-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მანდატურის თანამდებობაზე,
- ✓ 2011-2015 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მანდატური.
- ✓ 2015-2017 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის კონსულტანტი.
- ✓ 2017-2019 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი.
- ✓ 2019-2020 წლებში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
- ✓ 2020 წლის მარტიდან 2020 წლის დეკემბრამდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტში.
- ✓ 2020 წ 1 დეკემბრიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2.1.2. ,,კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები ,,კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და გამოარჩევენ კანდიდატის კორექტულობას, მის მტკიცე ხასიათის და შრომისმოყვარეობას.

2.1.3. არჩილ კოჭლამაზაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ გასაჩივრებულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. არჩილ კოჭლამაზაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. მედია სივრცეში გავრცელებული ინფორმაციები იხილეთ მითითებულ ბმულებზე:

2.1.4. ,,კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. ,,კანდიდატის“ საკუთრებად რეგისტრირებულია: უძრავი ქონება: საცხოვრებელი სახლი ლაგოდეხში-მიწის ნაკვეთი 775 კვ.მ. შენობა N1 შენობა N2; 25%; მიწის ნაკვეთი ლაგოდეხში სოფელი შრომა 13172 კვ.მ, 25%. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატს“ ჩადენილი აქვს საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი 10 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. სასამართლოში ,,კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი

დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატს" საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 95,9% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 100% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 82,4% შემთხვევაში.

2.1.7. ,,კანდიდატმა" წარმოადგინა მის მიერ განხილულ 4 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები. მათი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ,,კანდიდატი" გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და მოსამართლის შეფასებები სათანადო არგუმენტებითაა გამყარებული. კანდიდატი ზოგჯერ სათანადოდ არ იცავს სასვენი ნიშნების გამოყენების წესს, რაც გადმოცემული აზრის აღქმას გარკვეულწილად აფერხებს. გადაწყვეტილებებში პრაქტიკულად არ არის გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაცია უმეტესად გამყარებულია მოსამართლის მსჯელობით და მხოლოდ სასამართლო პრაქტიკით. ვისურვებდი ამ კომპონენტის შევსებასაც ისეთი ფორმით და მოცულობით, რომ არ გადაიტვირთოს სასამართლო გადაწყვეტილება დიდი და რთული ტექსტებით და არ შეიქმნას მხარეების მიერ გადაწყვეტილების შინაარსის აღქმის პრობლემა.

2.1.8. ,,კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სასწავლო ხასიათის ღონისძიებებში (მაგ: ევროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის დაგეგმილი სემინარი; სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ს კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა – „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები" და ა.შ.).

2.1.9. ,,კანდიდატს" 2009 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.10. ,,კანდიდატი" არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. ,,კანდიდატი" ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=6o6k-aI4gw8

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის" პასუხები, დასმულ კითხვებთან მიმართებით, იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, უშუალოდ შეკითხვის შინაარსის შესაბამისი და ამომწურავი. კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებთან მიმართებით გაიხსენა თავისი პრაქტიკა და მოიყვანა შესაბამისი მაგალითები. ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებში, მაგ. არასრულად ჩამოთვალა და დაახასიათა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული აბსოლუტური უფლებები, საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმაზე საუბრის დროს განმარტა, რომ შეთანხმებაში უშუალოდ უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი არბიტრაჟი განიხილავს საქმეს, თუმცა არ უსაუბრია გაეროს მოდელურ კანონსა და ქართულ საკანონმდებლო ჩარჩოს შორის შეუსაბამობაზე შეთანხმებაში საარბიტრაჟო განხილვას დაქვემდებარებული დავის განსაზღვრის თაობაზე.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ე) ფინანსური ვალდებულება.[1]

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, თუ შემფასებლის წინაშე არ არის

[1] მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისთვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის[2] ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, შემდეგი:

3.2.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - **„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"**[3] შეფასების დროს კანდიდატის მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ვიდრე სათანადო და სანდო მონაცემთა ერთობლიობით არ დადასტურდება საწინააღმდეგო, კანდიდატი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

„კანონის" 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრება ზემოხსენებული კრიტერიუმის კომპონენტები: „კანდიდატის", როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, აგრეთვე, სიმართლისმოყვარეობა.

შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ „კანდიდატს" სამი წლის განმავლობაში უფიქსირდება რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა მხოლოდ ეს გარემოება ვერ ჩაითვლება პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის ეჭვქვეშ დაყენებისთვის წონად გარემოებად.

ვინაიდან მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგების შეფასების შედეგად არ იკვეთება გარემოება, ან/და ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ კომპონენტს, მიმაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს **„პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის"** მახასიათებელს.

3.2.2. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ „კანდიდატი" არის დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, ავლენს ხეგავლენის მიმართ მედეგობას და პიროვნულ სიმტკიცეს.

---

[2] იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

[3] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-4 პუნქტით.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[4] **„დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“** მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი და სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[5] **„პიროვნული და პროფესიული ქცევის“** მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატს“ აქვს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი პროფესიულ წრეებში. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება.

ზემოაღნიშნული მაძლევს საშუალებას მივიჩნიო, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[6] **„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“** მახასიათებელს.

3.2.5. „კანდიდატის“ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული აქტივების, შემოსავლის ოდენობის, შემოსავლის წყაროს და ნაკისრი ვალდებულებების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[7] **„ფინანსური ვალდებულების“** მახასიათებელს.

3.2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე

---

[4] კომპონენტები განისაზღვრება იმავე მუხლის მე-5 პუნქტით.
[5] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.
[6] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-7 პუნქტით.
[7] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-8 პუნქტით.

მახასიათებელს, გავაკეთე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა, რომ **„კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლის ნორმების ცოდნა“[8] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატის“ მოსმენის, მოპოვებული ინფორმაციის და წინამდებარე შეფასების 2.2.2 პუნქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ „კანდიდატს“ აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების და პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. კანდიდატის პასუხები გამყარებული იყო შესაბამისი მაგალითებით და სათანადო მსჯელობით.

„სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტში „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.2. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია“[9] მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.*

„კანდიდატი“ ავლენს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარს, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია.

მოსმენის დროსაც „კანდიდატმა“ გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთების კარგი უნარები სხვადასხვა პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების განხილვის დროს, განსაკუთრებით როდესაც საუბარი შეეხებოდა სამეწარმეო სამართლის პრობლემატურ საკითხებს.

---

[8] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.
[9] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.3. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „წერის უნარი“[10] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.*

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდება გარკვეული ხარვეზები.[11] სასურველია, გადაწყვეტილებები უფრო მეტად იყოს გამდიდრებული შესაბამისი პრეცედენტებით ტექსტის ლაკონურობის და სიმარტივის მახასიათებლების დაურღვევლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „კანდიდატს“ „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით ვაფასებ 17 ქულით.

4.1.4. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“[12] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.*

„კანდიდატი“ მეტყველებს გამართულად და გასაგებად გადმოცემს აზრს, ავითარებს ლოგიკურ მსჯელობას ფაქტების ანალიზის საფუძველზე. საუბრის დროს არის მშვიდი და გაწონასწორებული.

„ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 13 ქულით.

4.1.5. *„კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“[13] ამავე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 15 ქულით.*

„კანდიდატი“ არის პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის მოსამართლის თანამდებობის მაღალი

---

[10] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[11] იხ. წინამდებარე შეფასების 2.1.7. პუნქტი.
[12] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[13] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

სტანდარტის შესაბამისი, ასევე ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. შეფასების დროს ასევე გავითვალისწინე მონაცემი გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ.[14]

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ 14 ქულით.

4.1.6. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა" ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.*

„კანდიდატი" აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, გამოხატავს დიდ ინტერესს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. კანდიდატი ამ ეტაპზე არ ეწევა აკადემიურ საქმიანობას.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ 5 ქულით.

4.1.7. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული აქტივობა" ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.*

„კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად. „კანდიდატი" არ ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

„პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ 3 ქულით.

4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს" ჯამურად ვაფასებ 88 ქულით.

ხელმოწერა: თარიღი: 22 / 07 / 2024 წ.

[14] იხ. წინამდებარე შეფასების 2.1.6. პუნქტი.